განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ია ქურიძე
წევრ(ებ)ი:
გიორგი ნებიერიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☐ გეგმიური

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სს ფინური საერთაშორისო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სააქციო საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**ს/კ: 404557234**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საგურამო
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საგურამო, მე-7 ქუჩა, N7
საფოსტო ინდექსი	**3311**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**fis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**info@fis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**+995 32 2 422000**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სს - ფინური საერთაშორისო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლი 17 სექტემბრის MES 3 24 0001147397 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	01 ოქტომბერი 2024 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 16 აგვისტოს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - ცენტრი) განცხადებით მომართა მოქალაქემ დაწესებულების მიერ მისი უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქის ორი შვილი სწავლობდა ქ. თბილისში არსებულ ფინურ საერთაშორისო სკოლაში, ს/კ 404557234. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლამ ვეღარ შეძლო საგანმანათლებლო სერვისების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა, იძულებული გახდა შვილები სხვა სკოლაში გადაეყვანა. მოქალაქე განცხადებაში უთითებს, რომ მის მიერ, 2023 წლის ივნისის თვეში სრულად იქნა გადახდილი ორივე ბავშვის სწავლის საფასური მთელ სასწავლო პერიოდზე. ასევე, მან მრავალჯერ მიმართა სკოლას მეორე სემესტრის თანხის დაბრუნებაზე, მაგრამ უშედეგოდ. მშობელი აცხადებს, რომ სკოლიდან ბოლო პასუხი ელექტრონული სახით მიიღო 2024 წლის თებერვალში, სადაც მშობელს ჰპირდებოდნენ, რომ აცნობებდნენ საბოლოო პასუხს.
,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 33[3] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი

საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად, მშობელი ცენტრს სთხოვდა დახმარებოდა თანხის დაბრუნებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 33[3] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კერძო სკოლის მიერ ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შეუსრულებლობა მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია.

მშობლის მიერ განცხადებაში ასახული გარემოების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ვიზტის დღის წესრიგი (დანართი N 1). დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
120	35

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები, რომლებიც ექსპერტებმა გაიზიარეს ნაწილობრივ. კერძოდ,

- აღმოიფხვრა ხარვეზი 3.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით და **შეფასდა როგორც ,,შეესაბამება”;**
- ინდიკატორები: 3.4.1.2 და 3.6.3.4 **შეფასდა როგორც მეტწილად ,,შეესაბამება”;**
- რაც შეეხება ინდიკატორებს 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.4.1.6; 3.6.3.2; 3.6.3.5; 3.7.1.1; 3.7.1.2; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.2 **აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტებმა არ გაიზიარეს სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება”.**

შედეგად, **<u>სტანდარტი 3</u>** და **<u>სტანდარტი 4</u>** შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება”.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7	☐ შეესაბამება

ფინანსური რესურსები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და	**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა**

	გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, კერძოდ:** 1. ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისია არ არის დაკომპლექტებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება დაწესებულების მიერ კონკურსის ჩაატარება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; 2. სკოლაში დასაქმებულ 2 თანამშრომელზე არ არის ნაწარმოები პირადი საქმეები; 3. 2024 წლის სექტემბრიდან დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტაცია, კერძოდ, განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ; 4. მასწავლებლების ნაწილთან გაფორმებულია ხელშეკრულება სტატუსის გარეშე, რითაც დარღვეულია ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მე-11[1] მუხლის მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს, რომ მასწავლებელთან უნდა გაფორმდეს

		შესაბამისი სტატუსის ხელშეკრულება (უფროსი/წამყვანი/მენტორი). **(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)**
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	**პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ:** 1. 2024 წლის სექტემბრიდან სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მასწავლებლისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელთა ნაწილს არ აქვს მასწავლებლისთვის კანონმდებლობით დადგენილი სტატუსები იმ საგნების მიმართულებით, რომლებსაც ასწავლიან, ხოლო ნაწილს არ აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული არცერთი სტატუსი არცერთი მიმართულებით (უფროსი/წამყვანი/მენტორი). 2. მე და საზოგადიების, ინგლისური ენის, მათემატიკის და მუსიკის საათებს ატარებს მასწავლებელი, რომელსაც აქვს ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	**სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც მდგომარეობს შემდეგში:**

		ელექტრონული ჟურნალის (classdojo.com) მეშვეობით მასწავლებლები ერთი კონკრეტული მოსწავლის მიერ განხორციელებული აქტივობების და შესრულებული დავალებების შესახებ ინფორმაციას აზიარებენ ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომ მასზე წვდომა აქვს კლასის სხვა მოსწავლის მშობელსაც. მონაცემების ამგვარი გაზიარება ზრდის არაუფლებამოსილი პირების მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის რისკს, არღვევს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონს და ინფორმაციის დაცვის წესს.
ინდიკატორი N3.6.3.2	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას	**სკოლა ვერ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რაც მდგომარეობს შემდეგში:** 1. მასწავლებლები სკოლის დირექციისგან არ ფლობდნენ ინფორმაციას სკოლის ბაზაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის (სულ 35 მოსწავლე) შესახებ. მასწავლებლებს აქვთ მოლოდინი, რომ მათ კლასებში ირიცხებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც დაფიქსირებულები არიან classdojo-ეს ელექტრონულ პლატფორმაში და ესწრებიან სასწავლო პროცესს (სულ 10 მოსწავლე). 2. ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირი არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თავად არის

		განსაზღვრული ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილ პირად. **(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა).**
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	**სკოლის ვებ-გვერდზე სრულყოფილად არ არის განთავსებული ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაცია, კერძოდ:** • *ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში;* • *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.* *ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებულია მოძველებული ინფორმაცია, კერძოდ, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.*

ინდიკატორი N3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	სკოლა ვერ უზრუნველყოფს ყოფილი 2 თანამშრომლის მიმართ არსებული სოლიდური დავალიანების დაფარვას საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობის გამო, სკოლის არსებული დავალიანება კი მიუთითებს სკოლის ფინანსურ კრიზისზე და შესაბამისად იმაზე, რომ სკოლა ფინანსურად არამდგრადია სამოქმედო გეგმის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად. **(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)**
ინდიკატორი N3.7.1.2	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა	**სკოლას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა, კერძოდ:** 1. ბიუჯეტში ასახული შემოსავლები არ ასახავს რეალურად მოსალოდნელ შემოსავლებს. 2. ბუნდოვანია, 2024-2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არის თუ არა სკოლის ყოფილი თანამშრომლების მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა და მისი ხარჯებში გათვალისწინება. **(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	**სკოლის შიდა რეგულაციებით არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა, რაც მდგომარეობს შემდეგში:** 1. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ სტრუქტურას. 2. სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გაწერილი წესების აღსრულების პროცესი არ არის ეფექტური. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის მოსწავლეთა ბაზაში ოფიციალურად ირიცხებოდა **35** მოსწავლე, თუმცა რეალურად სასწავლო პროცესს რეგულარულად ესწრებოდა მხოლოდ **10** მოსწავლე. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ ვერ ამყარებენ კომუნიკაციას იმ მოსწავლეების მშობლებთან, რომლებიც არ ცხადდებიან საგაკვეთილო პროცესზე, თუმცა სკოლას აქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნული მოსწავლეები სახლში იღებენ განათლებას. გამოვლენილმა ფაქტმა აჩვენა, რომ ირღვევა იმ მოსწავლეების უფლებები, რომლებიც არ ესწრებიან სასწავლო პროცესს, თუმცა აღნიშნულზე რეაგირებას სკოლა დამოუკიდებლად ვერ ახდენს. ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით, საბაზო განათლება სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, ირღვეოდა იმ 25 მოსწავლის განათლების უფლება, რომლებიც

		ჩართულები უნდა ყოფილიყვნენ საგანმანათლებლო პროცესში და უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა ინტერესები.
ინდიკატორი N4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან	**მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან, რაც მდგომარეობს შემდეგში:** სკოლის შიდა რეგულაციები არ არის საკმარისად გამჭვირვალე. მასწავლებლები/დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები არ ფლობდნენ ინფორმაციას მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავიანთ ვალდებულებებზე და, შესაბამისად, ვერ ასრულებდნენ მას. სკოლის თანამშრომლებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია იმ მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც მოსწავლის უფლებების დაცვასა და რეალიზაციას ემსახურებოდა.
ინდიკატორი N4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	**მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან არ არის გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, კერძოდ:** 1. სკოლას არ აქვს გაფორმებული მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან 2024-2025 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებები;

		2. 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებები არ არის კანონმდებლობის შესაბამისი. **(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)**
ინდიკატორი N4.1.2.2	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს	**სკოლა არ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, კერძოდ:** 1. მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობისას, სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული ის პრევენციული ზომები, რაც გათვალისწინებულია სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა წესით და მოქმედი კანონმდებლობით. 2. სკოლიდან მოსწავლის გადასვლის შემდეგ, სკოლას არ დაუბრუნებია მშობლისთვის წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური, რითაც დარღვეული ,,ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის'' 33[2] მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.10.2025 წლამდე) უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირება სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლაც მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2024 წლამდე) უზრუნველყოს სკოლის ვებ გვერდზე ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსება.

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა, შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურასთან და დებულებასთან. ასევე, მასწავლებლების შრომით ხელშეკრულებებში დააკონკრეტოს, თუ რომელი საგნის/საგნების მასწავლებლად ასაქმებს პირს.
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	*ჩატარებული არცერთი კონკურსის საკონკურსო კომისიის გრძანებაში არ არის დაკონკრეტებული კომისიის წევრთა სტატუსი. **<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>** მეტი სიცხადისთვის, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების გრძანებაში თითოეულ კომისიის წევრთან მიმართებით, დააკონკრეტოს კომისიის წევრის სტატუსი განსაზღვრულ შემადგენლობაში. ასევე, საკონკურსო კომისიაში შეიყვანოს იმ საგნის/საგნების სპეციალისტი/სპეციალისტები, რომლის ვაკანტურ საათებზეც ცხადდება კონურსი.*

ინდიკატორი N3.7.1.1	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა	სკოლას მიეცა რჩევა, წლიურ ბიუჯეტში ასახოს ყოველთვიურად მისაღები შემოსავალი და მოსალოდნელი ხარჯი, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას და საშუალებას მისცემს შეაფასოს მოსალოდნელი საფრთხეები და რისკები.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

2024 წლის 09 ივლისს ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სს - ფინურ საერთაშორისო სკოლაში (შემდგომში - დაწესებულება) განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. საბჭოს გადაწყვეტილებით, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება მონიტორინგთან დაკავშირებით და საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2024 წლის სექტემბერში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოედგინა დასკვნაში ასახული რეკომენდაციებისა და ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

2024 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია აღნიშნული მტკიცებულებები.

2024 წლის 04 აპრილს დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე, არის შემდეგი:

ინდიკატორი N3.6.3.1 - *სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*

სკოლას მეიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს ოფიციალური ვებ გვერდის ამოქმედება საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

ხარვეზი აღმოფხვრილია, სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირების და კომუნიკაციის საშუალებას.

ინდიკატორი N3.6.3.4 - *სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;*

<u>სკოლას მეიცა რეკომენდაცია,</u> შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს ოფიციალური ვებ გვერდის ამოქმედება და მასზე ინფორმაციის განთავსება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

<u>ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, თუმცა მასზე განთავსებული დოკუმენტაცია და სრული ინფორმაცია არ არის განთავსებული ინგლისურ ენაზე, კერძოდ იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.</u>

ინდიკატორი N3.6.3.5 - *ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.*

<u>სკოლას მეიცა რეკომენდაცია,</u> შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.05.2024 წლამდე) უზრუნველყოს ოფიციალური ვებ გვერდის ამოქმედება და ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის მასზე განთავსება.

<u>ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული:</u>

- <u>*ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში*</u>
- <u>*2023-2024 წლის სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.*</u>

<u>*ვებ-გვერდზე განთავსებულია მოძველებული ინფორმაცია, კერძოდ, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.*</u>

გარდა ამისა, 2024 წლის 09 ივლისის სხდომაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, ჩაეტარებინათ ფინანსური აუდიტი და დროულად დაეფარათ ის დავალიანებები, რომელიც ჰქონდათ მასწავლებლებთან.

2024 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია აღნიშნული რჩევების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად მათი შესრულების სტატუსი არის შემდეგი:

- დაწესებულებას არ აქვს განხორციელებული ფინანსური აუდიტი.
- დაწესებულებამ დაფარა დავალიანება მასწავლებლების მიმართ, თუმცა კვლავ ერიცხება დავალიანება 2 პირის მიმართ, რომლებიც ამჟამად აღარ არიან სკოლის თანამშრომლები.

ვიზიტის აღწერილობა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი. **ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა** მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ**:**

- მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება;
- სკოლის სკოლის ფინანსური მდგრადობა;
- სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის/სერვისების განხორციელების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების საკითხი;
- ახლად მიღებული პერსონალის კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 09 ივლისის N MES 0 24 0000834176 ოქმში ასახული რეკომენდაციების და რჩევის შესრულების საკითხი, ფინანსური აუდიტის განხორციელებისა და თანამშრომელთა წინაშე არსებული დავალიანებების დაფარვის თაობაზე.

ვიზიტი განხორციელდა სასწავლო დღეს. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ, შეემოწმებინათ, მიმდინარეობდა თუ არა სკოლაში სასწავლო პროცესი და სასკოლო გარემოში გასაუბრებოდნენ მასწავლებლების ნაწილს.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, სკოლის ფინანსური მდგრადობის დოკუმენტაცია და შემოწმდა დღის წესრიგისა და მონიტორინგის ბრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები.
ინტერვიუ განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, ადმინისტრაციასთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან.

დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიგდენთ განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს, ექსპერტთა ჯგუფის სხვა მნიშვნელოვან მიგნებებსა და მათთან დაკავშირებულ რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობას.

<u>განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში დადგინდა შემდეგი ფაქტები:</u>

1. დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრებისას დაადასტურა, რომ განმცხადებლის მიმართ აქვს ფინანსური დავალიანება. კერძოდ, დაწესებულებას განცხადების ავტორი მშობლისთვის არ დაუბრუნებია 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის წინმსწრებად გადახდილი საფასური.
2. განცხადების ავტორ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.9 პუნქტით ხელშეკრულების პირობას წარმოადგენს ის, რომ, თუ მოსწავლე გადავა სკოლიდან, მშობლის წინასწარ გადახდილი თანხა არ ბრუნდება.

ექსპერტთა სხვა მიგნებები

<u>პერსონალისა და პროცესების მართვა</u>

დაწესებულებაში დასაქმებულია იყო 19 თანამშრომელი. თითოეულ მათგანთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შრომითი პირობები.

ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური მიმართულებით დირექტორის მოადგილესთან/უფროს მასწავლებელთან ***გამოსაცდელი ვადით გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 1 წელი.***
,,საქართველოს შრომის კოდექსის'' მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დასაქმებულთან შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა.
გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.2 პუნქტი ითვალისწინებდა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს შორმის კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით გათვალისწინებულ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესებთან.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა. კერძოდ, ცვლილება შევიდა შრომით ხელშეკრულებაში და შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს შრომის კოდექსთან.
(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.1.2.1)

სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრულია დასაქმებულის სკოლაში მიღების წესები, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის მიერ აღნიშნული პროცესების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის პროცესის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა შემდეგი:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე.

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე 2024 წლის ზაფხულში ჩატარებული ღია კონკურსის ოქმები, საკონკურსო კომისიის შექმნის და კონკურსის გამოცხადების ბრძანება. დადგინდა, რომ *საკონკურსო კომისია არ იყო დაკომპლექტებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, რომლის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ კომისიის ერთ-ერთ წევრად უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი.* ***აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ კომისიის მესამე წევრი იყო დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა.***

სკოლის მიერ წარმოდგენილი ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ *საკონკურსო კომისია არ იყო დაკომპლექტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის'' მე-7 მუხლით გათვალისწინებული კომისიის წევრებით, კერძოდ, კომისიის წევრებად არ იყვნენ განსაზღვრულნი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმ ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა, ასევე იმ დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, რომელი დარგის სპეციალობების მქონე პირებსაც აქვთ სკოლის ექიმად მუშაობის უფლება.*

გარდა ამისა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულ 2 თანამშრომელზე არ იყო ნაწარმოები პირადი საქმეები, 2024 წლის სექტემბრიდან დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესით და კანონმდებლობით გათვალისწინებული

სავალდებულო დოკუმენტაცია, კერძოდ, განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ.
მასწავლებლების უმრავლესობასთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება სტატუსის გარეშე, რითაც დარღვეულია ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მე-11[1] მუხლის მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს, რომ მასწავლებელთან უნდა გაფორმდეს შესაბამისი სტატუსის ხელშეკრულება (უფროსი/წამყვანი/მენტორი).

სკოლის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეებით დგინდება, რომ 1 თანამშრომელის შესახებ ინფორმაცია არ იყო დაფიქსირებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის თანამშრომელთა ბაზაში, სკოლას არ წარმოუდგენია მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, თუმცა წარმოდგენილია აღნიშნული დასაქმებულის პირადი საქმე. ***აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განმარტა, რომ აღნიშნული პირი იყო აყვანილი მომსახურების ხელშეკრულებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია.***

მითითებულ ინდიკატორში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, არ დასტურდება პერსონალის მართვის პროცესში ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.
(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების თაობაზე იხილეთ N3.1.2.3 ინდიკატორის დეტალური აღწერა).

მასწავლებელთა კვალიფიკაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:
სკოლაში დასაქმებული 9 მასწავლებლიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული *,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებული ერთ-ერთი სტატუსი (უფროსი) აქვს მხოლოდ 2 მასწავლებელს.* ამასთან, აღსანიშნავია, რომ მათ სტატუსი გააჩნიათ კონკრეტული საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, თუმცა ასწავლიან რამდენიმე სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანს. გარდა ამისა, *სკოლას არ აქვს რაიმე საგამონაკლისო შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და*

ახალგაზრდობის სამინისტროსთან ფინური კურიკულუმის თავისებურების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესის ისეთი მასწავლებლების მიერ წარმართვასთან დაკავშირებით, რომლებსაც არ უდასტურდებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა.
გარდა ამისა, დადგინდა, რომ სკოლაში მე და საზოგადოების, ინგლისური ენის, მათემატიკის და მუსიკის საათებს ატარებს მასწავლებელი, რომელსაც აქვს ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.
მითითებულ ინდიკატორში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მასწავლებლისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების თაობაზე იხილეთ N3.1.2.4 ინდიკატორის დეტალური აღწერა).

<u>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება</u>

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 120 მოსწავლით. ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის'' დანართი N1.2-ით 100-დან 500 მოსწავლის ჩათვლით რეკომენდირებულია 1 ექიმის არსებობა. ***ვიანიდან სკოლაში ვიზიტის დროს არ იყო დასაქმებული ექიმი, სკოლაში არ ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი.***

იმდენად, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების არარსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ასეთ დროს, სკოლამ უნდა შეძლოს უზრუნველყოს სწრაფი რეაგირების და სამედიცინო დახმარების მექანიზმის არსებობა. სამედიცინო პერსონალის არარსებობით და სამედიცინო კაბინეტის არაფუნქციურობით, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას სკოლის ტერიტორიაზე და სკოლის მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, გაიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირება, სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის უზრუნველსაყოფად.
(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.4.1.2)

სკოლას ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლის მიერ გამოყენებული ელექტრონული ჟურნალის პლატფორმით (classdojo.com) მასწავლებლების მიერ ერთი კონკრეტული მოსწავლის მიერ განხორციელებული აქტივობების და შესრულებული დავალებების შესახებ ინფორმაციის მშობლისთვის გაზიარება ხდება ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც არღვევს მისი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას.

ასეთი პრაქტიკა არაეფექტურია და არღვევს პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. მონაცემების ამგვარი გაზიარება ზრდის არაუფლებამოსილი პირების მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის რისკს, რაც აშკარად არღვევს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონს და ინფორმაციის დაცვის წესს.

მითითებულ ინდიკატორში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვას.

(იხ. დეტალური აღწერა: ინდიკატორი 3.4.1.6)

<u>საზოგადოების ინფორმირება</u>

მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი სკოლის დირექციისგან არ ფლობდნენ ინფორმაციას სკოლის ბაზაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის შესახებ (35 მოსწავლე). მასწავლებლებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ მათ კლასებში

ირიცხებოდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც დაფიქსირებულები იყვნენ classdojo-ეს ელექტრონულ პლატფორმაში და ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს (10 მოსწავლე). გარდა ამისა, ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირი არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თავად იყო განსაზღვრული ელექტრონული მონიტორინგზე უფლებამოსილ პირად. **აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლის დირექცია არ უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას სკოლაში დასაქმებულ პირებთან მიმდინარე სასკოლო პროცესების შესახებ.**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია და სრული ინფორმაცია არ არის განთავსებული ინგლისურ ენაზე, კერძოდ იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

გარდა ამისა, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი, კერძოდ, არ არის განთავსებული:

- *ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში*
- *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.*

ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებულია მოძველებული ინფორმაცია, კერძოდ, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

მითითებულ ინდიკატორებში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, არ ხდება სასკოლო საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება.

(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების თაობაზე იხილეთ 3.6.3.2, 3.6.3.4, 3.6.3.5 იდნიკატორების დეტალური აღწერა).

ფინანსური მდგრადობა

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ბიუჯეტი (Excel-ის ფაილით), რომელიც ასახავს სკოლის შემოსავლებსა და აუცილებელ ხარჯებს. ბიუჯეტის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაფინანსების ძირითადი წყაროა გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ მიმართ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ფინანსური დავალიანება. თუმცა, სკოლის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ **სკოლას კვლავ აქვს დავალიანება ყოფილი 2 თანამშრომლის მიმართ.**

ბიუჯეტის და სკოლის მოსწავლეთა ბაზის შესწავლით, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ **ბიუჯეტში ასახული შემოსავლები არ ასახავს რეალურად მოსალოდნელ შემოსავლებს, ვინაიდან საგანმანათლებლო მომსახურების და სატრანსორტო მომსახურების გაწევის შედეგად მისაღები შემოსავლები არ არის შესაბამისობაში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რომლებიც ფაქტობრივად სარგებლობენ საგანმანათლებლო მომსახურებით.**

გარდა ამისა, ბუნდოვანია 2024-2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არის თუ არა სკოლის ყოფილი თანამშრომლების მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა და მისი ხარჯებში გათვალისწინება.

ფინანსურ საკითხზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების შეუსრულებლობა ცხადყოფს, რომ დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის ეფექტური სისტემა, რაც იწვევს ფინანსურად არამდგრად მდგომარეობას უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ სკოლის მიერ ბიუჯეტის წინასწარ ფორმალურად დაგეგმვა ვერ უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მიზნობრივად განკარგვის პროცესს, რაზეც მეტყველებს სკოლის დაუფარავი დავალიანება.

მითითებულ ინდიკატორებში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სკოლა არ არის ფინანსურად მდგრადი.

(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების თაობაზე იხილეთ N3.7.1.1-3.7.1.2 ინდიკატორების დეტალური აღწერა).

<u>მოსწავლეთა უფლებების დაცვა</u>

სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციაში გაწერილი წესების აღსრულების პროცესი არ არის *ეფექტური. სკოლის მიერ გამოცემული რიგი ბრძანებები შეიცავდა არარელევანტურ საფუძვლებს, კერძოდ სკოლის შინაგანაწესის არარსებულ პუნქტსა და ეროვნული სასწავლო გეგმის შეუსაბამო მუხლებს.* ***სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება ტექნიკური ხარვეზის გასწორები ბრძანების სახით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ ნაწილში გაიზიარა სკოლის პოზიცია.***

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ სტრუქტურას.

დადგინდა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის მოსწავლეთა ბაზაში, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ოფიციალურად ირიცხებოდა 35 მოსწავლე, თუმცა რეალურად სასწავლო პროცესს რეგულარულად ესწრებოდა მხოლოდ 10 მოსწავლე. *სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ ვერ ამყარებდნენ კომუნიკაციას იმ მოსწავლეების მშობლებთან, რომლებიც არ ცხადდებოდნენ საგაკვეთილო პროცესზე, თუმცა სკოლას ჰქონდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული მოსწავლეები სახლში იღებენ განათლებას. გამოვლენილმა ფაქტმა აჩვენა, რომ ირღვეოდა იმ მოსწავლეების უფლებები, რომლებიც არ ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს, თუმცა აღნიშნულზე რეაგირებას სკოლა დამოუკიდებლად ვერ ახდენდა.*

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით საბაზო განათლება სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, ირღვეოდა იმ 25 მოსწავლის განათლების უფლება, რომლებიც ჩართულები უნდა ყოფილიყვნენ საგანმანათლებლო პროცესში და უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა ინტერესები.

მითითებულ ინდიკატორში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სკოლაში არ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფა.

(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების თაობაზე იხილეთ N4.1.1.1 ინდიკატორის დეტალური აღწერა).

დადგინდა, რომ სკოლის შიდა რეგულაციები არ არის საკმარისად გამჭვირვალე. *მასწავლებლებთან/დამრიგებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ისინი არ ფლობდნენ ინფორმაციას მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავიანთ ვალდებულებებზე და შესაბამისად, ვერ ასრულებდნენ მას.*

სკოლის თანამშრომლებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია იმ მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც მოსწავლის უფლებების დაცვასა და რეალიზაციას ემსახურება.

მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან 2024-2025 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებები და სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების მოქმედების ვადები ამოწურული იყო 2023-2024 სასწავლო წელს. გარდა ამისა, 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებები წინააღმდეგობაში მოდიოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 33[2] მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნასთან, რომელიც ადგენს, რომ კერძო სკოლა ვალდებულია, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში). იგივე კანონსაწინააღმდეგო პირობა იყო გათვალისწინებული განცხადების ავტორი მშობლის ხელშეკრულებაშიც, რომელმაც უფლებების დასაცავად მომართა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მითითებულ ინდიკატორებში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სასკოლო რეგულაციები არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან, ხოლო მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან არ არის გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი, მაფიო და გამჭვირვალე ხელშეკრულება.

(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის არ გაზიარების თაობაზე იხილეთ N4.1.1.2 და N4.1.1.3 ინდიკატორების დეტალური აღწერა).

სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი შიდა რეგულაცია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესების თაობაზე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს მოსწავლის გაცდენების შემთხვევაში სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, ასევე ფინანსური დავალიანების გამო მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტის და გადახდილი თანხის დაბრუნების პირობებსა და ვადებს. თუმცა დადგინდა, რომ სკოლა არ იცავს აღნიშნულ რეგულაციებს. კერძოდ, *დადგინდა, რომ კლასების დამრიგებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ზომები უნდა მიიღონ მოსწავლის მიერ საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაბამისად, სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით დადგენილი პრევენციული ზომები. ასევე, დადგინდა, რომ* *სხვა სკოლაში მოსწავლის გადასვლის შემდეგ, სკოლას არ აქვს მშობლისთვის დაბრუნებული მშობლის მიერ წინსწრებით გადახდილი სწავლის საფასური.*
მითითებულ ინდიკატორში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სკოლა არ იცავს მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

(ხარვეზების და არგუმენტირებული პოზიციის არ გაზიარების თაობაზე იხილეთ N4.1.2.2 ინდიკატორის დეტალური აღწერა).

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ პერსონალის მართვის პროცესის მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერვე დადგენილი პირობების შესაბამისად განხორციელების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სასკოლო დოკუმენტაცია.

სკოლის შინაგანაწესი მოიცავს სამუშაო პირობების მარეგულირებელ დებულებებს და შეესაბამება შრომის კოდექსს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია დასაქმებულების მიერ შესასრულებელი საქმიანობა, სამუშაო პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა დარეგულირებაც უნდა მოხდეს შრომითი ხელშეკრულებით.

დაწესებულების თანამშრომლებთან განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში არ გამოვლენილა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების დაყოვნების ან დავალიანების არსებობის ფაქტი მიმდინარე პერიოდზე.

შესწავლილ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ისეთი თანამდებობრივი პოზიციებისადმი თანამშრომლეთა დაქვემდებარება, რომლებსაც არ მოიცავს სკოლის სტრუქტურა და დებულება, როგორიცაა პრინციპალი/ვიცე პრინციპალი. ასევე, მასწავლებლების ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი საგნის/საგნების მასწავლებლად ასაქმებს დამსაქმებელი პირს.

<u>სკოლას მიეცა რჩევა.</u> *შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურასთან და დებულებასთან. ასევე, მასწავლებლების შრომით ხელშეკრულებებში დააკონკრეტოს თუ რომელი საგნის/საგნების მასწავლებლად ასაქმებს პირს.*

ექსპერტთა ვიზიტის დროს, ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკამდემიური მიმართულებით დირექტორის მოადგილესთან/უფროს მასწავლებელთან *გამოსაცდელი ვადით გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 1 წელი. ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დასაქმებულთან შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა.*

გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.2 პუნქტი ითვალისწინებდა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს შორმის კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით გათვალისწინებულ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესებთან. კერძოდ, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო, რომ დამსაქმებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შეტყობინებისა და კომპენსაციის გარეშე ხანგრძლივი შრომისუუნარობის პირობების დადგომის შემთხვევაში, როგორიცაა ზედიზედ 40 კალენდარულ დღეზე მეტი, ხოლო 6 თვის განმავლობაში 60 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით ვალდებულების შეუსრულებლობა. საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით კი, ასეთი საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში გათვალისწინებულია, დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულისთვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება, შეტყობინების მინიმალური ვადა და კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

შესაბამისად, დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდიოდა ,,საქართველოს შრომის კოდექსთან", რითაც ირღვეოდა დასაქმებულის შრომითი უფლებები და შესაბამისად, პერსონალის მართვის პროცესში დარღვეული იყო მოქმედი კანონმდებლობა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ასევე, წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ მტკიცებულებები, კერძოდ, მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების პირობების ცვლილებასა და შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის თაობზე. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,შეუსაბამო'', შეფასდა როგორც ,,შესაბამისი''.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლის შინაგანაწესით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს თანამშრომლის მიღების წესი, რომლის თანახმადაც, თანამშრომლის მიღებას სკოლა ახორციელებს კონკურსის გზით ან დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე, ხოლო მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსით. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს კონკურსის შიდა წესი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე.

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე 2024 წლის ზაფხულში ჩატარებული ღია კონკურსის ოქმები, საკონკურსო კომისიის შექმნის და კონკურსის გამოცხადების ბრძანება. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის შედეგად წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ *საკონკურსო კომისია არ იყო დაკომპლექტებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, რომლის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი* ადგენს, რომ კომისიის ერთ-ერთ წევრად უნდა განისაზღვროს *დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ბრძანებით არ დასტურდებოდა ასეთი მოწვეული სპეციალისტის საკონკურსო კომისიის წევრად განსაზღვრა.* ასევე, *გასათვალისწინებელია, რომ კონკურსი გამოცხადებული იყო რამდენიმე საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ერთდროულად და შეფასება საგნის ყველა მიმართულებით განახორციელა 3 წევრით დაკომპლექტებულმა ერთი და იგივე კომისიამ, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მითითებულ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე გამოცხადებული საკონკურსო კომისიის დაკომპლექტებას და განმარტა, რომ საკონკურსო კომისიაში დაფიქსირებული ერთ-ერთი წევრი, რომელიც არ იყო სკოლის თანამშრომელი, კომისიაში შეყვანილი იყო სწორედ როგორც დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი. ვინაიდან საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ იყო დაკონკრეტებული თითოეული წევრის სტატუსი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტის იდენტიფიცირება და კომისიის შემადგენლობა შეფასდა როგორც კანონმდებლობასთან შეუსაბამო, ხოლო ***სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, ექპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა სკოლის პოზიცია.***

ჩატარებული არცერთი კონკურსის საკონკურსო კომისიის ბრძანებაში არ არის დაკონკრეტებული კომისიის წევრთა სტატუსი. ***<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>*** *მეტი სიცხადისთვის, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების ბრძანებაში თითოეულ კომისიის წევრთან მიმართებით დააკონკრეტოს კომისიის წევრის სტატუსი განსაზღვრულ შემადეგნლობაში. ასევე, საკონკურსო კომისიაში შეიყვანოს იმ საგნის/საგნების სპეციალისტი/სპეციალისტები, რომლის ვაკანტურ საათებზეც ცხადდება კონურსი.*

სკოლამ ასევე წარმოადგინა ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტაცია, რომლითაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაგინდება, რომ საკონკურსო კომისია არ იყო დაკომპლექტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის" მე-7 მუხლით გათვალისწინებული კომისიის წევრებით, კერძოდ, კომისიის წევრებად არ იყვნენ განსაზღვრულნი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმ ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა, ასევე იმ დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, რომელი დარგის სპეციალობების მქონე პირებსაც აქვთ სკოლის ექიმად მუშაობის უფლება. შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგა დაწესებულების მიერ კონკურსის ჩატარება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მითითებულ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტებას და განმარტა, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობის კორექტირებისა და კანონდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით,

სკოლამ წერილობით მიმართა ვაკე - საბურთალოს ტერიტორიულ რესურსცენტრსა და ასოციაციებს წარმომადგენლის გამოყოფის მიზნით, რის შემდეგადაც განახორციელებს ცვლილებებს.არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ მტკიცებულებად დაურთო საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის და დარგობრივი ასოციაციისათვის გაგზავნილი წერილები. სკოლამ შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა 01.11.2024-31.12.2024 პერიოდი. გამომდინარე იქედან, რომ გამოცხადებული კონკურსები, ჩაშლის მიუხედავად, ტარდებოდა არასრული შემადგენლობით, ხარვეზი წარმოადგენს წარსულში უკვე დამდგარ ფაქტს, ხოლო შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობა მიემართება მომავალში ჩასატარებელ კონკურსებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებულ იქნა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

აღსანიშნავია, რომ დასაქმების გვერდზე teacherjobs.ge ვერ მოხერხდა კონკურსის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება, ვინაიდან სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ტექნიკური ხარვეზს გამო აღნიშნულ გვერდზე წაშლილია 2024 წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ *სკოლაში დასაქმებულ 2 თანამშრომელზე არ იყო ნაწარმოები პირადი საქმეები, 2024 წლის სექტემბრიდან დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში კი არ იყო განთავსებული სკოლის შინაგანაწესით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტაცია, კერძოდ, განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ მიმდინარეობს პირადი საქმეები შევსების, მათ შორის, ნასამართლეობის ცნობების შეგროვების პროცესიც. სკოლამ შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა 16.09.2024-31.12.2024 პერიოდი. გამომდინარე იქედან, რომ სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს წინასახელშეკრულებო ეტაპზე, შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებას, მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი კი ითვალისწინებს, რომ სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება შინაგანაწესის მე-5 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის და ვადების შესახებ ინფორმაცია.

ვინაიდან სკოლას პირად საქმეებთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა ისეთი პირადი საქმე, რომლის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა ბაზაში და არ ყოფილა წარმოდგენილი მასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა,

რომ თანამშრომელის შესახებ ინფორმაცია არ იყო დაფიქსირებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის თანამშრომელთა ბაზაში. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ აღნიშნულ პირთან გაფორმებული იყო მომსახურების ხელშეკრულება და ამიტომ არ ასახა ბაზაში, თუმცა ამ ეტაპზე მაინც ასახა ბაზაში და წარმოადგინა მასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ***ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია.***

ერთი მასწავლებლის პირადი საქმის გადამოწმებით დადგინდა, რომ იგი აკმაყოფილებდა სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო მოთხოვნებს უცხოური ენის საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, თუმცა მასთან გაფორმებული არ იყო შესაბამისი სტატუსის ხელშეკრულება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ აღნიშნული თანამშრომლისათვის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გააგზავნა წერილი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში და მასწავლებელთან გააფორმა შესაბამისი სტატუსის ხელშეკრულება. ***ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე.***

მასწავლებლების უმრავლესობასთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება სტატუსის გარეშე, რითაც დარღვეული იყო ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მე-11[1] მუხლის მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს, რომ მასწავლებელთან უნდა გაფორმდეს შესაბამისი სტატუსის ხელშეკრულება (უფროსი/წამყვანი/მენტორი).

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ მასწავლებელთა სტატუსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ნაწილთან დადებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულება, ნაწილთან კი ასწავლებლობის მაძიებელის ხელშეკრულება. ასევე აღნიშნა, რომ სკოლის სწავლების მოდელისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, მასწავლებლების საგნობრივად გადანაწილება ვერ ხერხდება, შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვა შეუძლებელია, რაც ირიბად გამომდინარეობს სამინისტროსთან და ფინურ მხარესთან ხელშეკრულება/მემორანდუმით. სკოლის არგუმენტი არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, ვინაიდან აღნიშნული სპეციფიკა არ გამომდინარეობს არც სამინისტროსა და ფინურ მხარეს შორის გაფორმებული მემორანდუმიდან და არც საქართველოს კანონმდებლობა უშვებს პირდაპირ ასეთ გამონაკლისს/რეგულაციას. ასევე, არ არსებობს სამინისტროსთან შეთანხმება აღნიშნულ საკითხზე გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 16.09.2024-01.09.2025 პერიოდი, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობა, თუ როგორ გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. ასევე, მასწავლებლების ნაწილს ბაზაში არ უფიქსირდება სკოლის მიერ ნახსენები არც მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსი. მაძიებლობის სტატუსის დადასტურებას სჭირდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

თანხმობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 16 აგვიტოს N169/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით.
შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge) ასახული სკოლის პერსონალის ბაზით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 19 თანამშრომელი, მათგან 9 მასწავლებლის პოზიციაზე.
მასწავლებელთა კვალიფიკაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:
სკოლაში დასაქმებული 9 მასწავლებლიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით'' გათვალისწინებული ერთ-ერთი სტატუსი (უფროსი) ჰქონდა მხოლოდ 2 მასწავლებელს, ხოლო 1 მასწავლებელი, ასევე, აკმაყოფილებდა უფროსი მასწავლებლისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მაგრამ არ ჰქონდა მინიჭებული შესაბამისი სტატუსი. ამასთან, *აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მასწავლებლებს სტატუსი გააჩნიათ კონკრეტული საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით, თუმცა ასწავლიან რამდენიმე სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანს. გარდა ამისა, სკოლას არ აქვს რაიმე საგამონაკლისო შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ფინური კურიკულუმის თავისებურების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესის ისეთი მასწავლებლების მიერ წარმართვასთან დაკავშრებით, რომლებსაც არ უდასტურდებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა.*
გარდა ამისა, დადგინდა, რომ სკოლაში მე და საზგადიების, ინგლისური ენის, მათემატიკის და მუსიკის საათებს ატარებს მასწავლებელი, რომელსაც აქვს ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.

შესაბამისად, პირადი საქმეებისა და სკოლის მართვის საინფორმაციო ბაზის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის სექტემბრიდან სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მასწავლებლისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლამ წარმოადინა არგუმენტირებული პოზიცია ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მას აქვს ჩაბარებული საგნის გამოცდა და დასაქმებულია როგორც მასწავლებლობის მაძიებელი. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის გეგმით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადად სკოლამ განსაზღვრა 16.09.2024-16.09.2025 პერიოდი, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, ვინაიდან სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობა თუ როგორ გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. გარდა ამისა, აღნიშნულ მასწავლებელს გამოცდა ჩაბარებული აქვს ინგლისურ ენაში და დაწყებითი საფეხურის ასწავლის სხვადასხვა საგანს. სკოლის მიერ მოწოდებული მასწავლებელთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ მასწავლებელს არ უფიქსირდება არც მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსი. საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 1 აგვისტოს N169/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მასწავლებლობის მაძიებლობის პერიოდის გავლის წესის" მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მასწავლებლობის მაძიებელი არის პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან/და სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში) და რომელიც, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებიდან გამომდინარე, არაუმეტეს 2 წლისა დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნულ პირობასთან არ არის თავსებადი ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.

სკოლამ ასევე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია სხვა მასწავლებლების კვალიფიკაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის სწავლების მოდელისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, მასწავლებლების საგნობრივად გადანაწილება ვერ ხერხდება, შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვა შეუძლებელია, რაც ირიბად გამომდინარეობს სამინისტროსთან და ფინურ მხარესთან ხელშეკრულება/მემორანდუმით. აღნიშნული არგუმენტი არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, ვინაიდან სკოლის მიერ ნახსენები სპეციფიკა არ გამომდინარეობს არც სამინისტროსა და ფინურ მხარეს შორის გაფორმებული მემორანდუმიდან და არც საქართველოს კანონმდებლობა უშვებს პირდაპირ ასეთ გამონაკლისს/რეგულაციას. გარდა ამისა, არ არსებობს სამინისტროსთან რაიმე სახის საგამონაკლისო შეთანხმება აღნიშნულ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა 01.10.2024-

01.10.2025 პერიოდი, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობა თუ როგორ გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას.
შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;
- კონკურსის ოქმები და ბრძანებები;
- თანამშრომელთა პორტირებული ბაზა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

მოსწავლეთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლაში ირიცხებოდა 35 მოსწავლე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 120 მოსწავლით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის'' დანართი N1.2-ით 100-დან 500 მოსწავლის ჩათვლით რეკომენდირებულია 1 ექიმის არსებობა. ***ვიანიდან სკოლაში ვიზიტის დროს არ იყო დასაქმებული ექიმი, სკოლაში არ ფუნქციონირებდა არც სამედიცინო კაბინეტი.***
სკოლამ წარმოადგინა კონკურსის გამოცხადების და ჩაშლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმ საფუძვლით, რომ კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა კანდიდატმა. ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი'' ითვალისწინებს ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული პოზიციის ექთნით ჩანაცვლების რეკომენდაციასაც, რაც სკოლას მოცემულ ეტაპზე არ ჰქონდა განხორციელებული.

სამედიცინო მომსახურების არარსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ასეთ დროს, სკოლამ უნდა შეძლოს უზრუნველყოს სწრაფი რეაგირების და სამედიცინო დახმარების მექანიზმის არსებობა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზებთან საკითხთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ექიმის პოზიციაზე კვლავ გამოცხადებულია ვაკანსია. ექიმის კაბინეტის უფუნქციობა კი გამოწვეულია კადრის არარსებობით. შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 01.10.2024-01.10.2025 პერიდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგროც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, სამედიცინო პერსონალის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და მომსახურების ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა მიუხედავად ამისა, სკოლის საქმიანობის პროცესში არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვას სათანადო დონეზე.

სკოლა იყენებს ელექტრონული ჟურნალის პლატფორმას classdojo.com. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პლატფორმაში არსებობს კონკრეტულ მშობელთან პრივატულად კომუნიკაციის ფუნქცია, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მასწავლებლები ერთი კონკრეტული მოსწავლის მიერ განხორციელებული აქტივობების და შესრულებული დავალებების შესახებ ინფორმაციას აზიარებენ ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომ მასზე წვდომა აქვს კლასის სხვა მოსწავლის მშობელსაც. აღნიშნული პრაქტიკა არღვევს მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას. **მონაცემების ამგვარი გაზიარება ზრდის არაუფლებამოსილი პირების მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომის რისკს, რაც აშკარად არღვევს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონს და ინფორმაციის დაცვის წესს.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელთან დაკავშირებითაც ოფიცერმა სკოლას მისცა რეკომენდაცია, რომ სკოლის მასწავლებლების ქმედებით არ ირღვევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, ვინაიდან საჯაროვდება მხოლოდ

მუშაობის პროცესი და არა უშუალოდ შეფასებები. ამასთან, მშობლებს გამოხატული აქვთ თანხმობა მსგავსი ინფორმაციის გასაჯროებაზე.

სკოლას არ წარმოუდგენია არასრულწლოვანთა გაკვეთილებზე მუშაობის პროცესის გასაჯაროების შესახებ თანხმობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით თანხმობისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სახეზეა არასრულწლოვან მოსწავლეებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების შემთხვევა. მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს დროს მათ განაცხადეს, რომ განხორციელებული დავალებების გაზიარება ხორციელდებოდა იმგვარად, რომ იდენტიფიცირებადი იყო კონკრეტული მოსწავლე, რადგან მიზნად ისახავდა მოსწავლეთა აქტიურობის შესახებ ინფორმაციის მშობლისთვის მიწოდებას. შესაბამისად, ექსერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა ბაზა;
- ექიმის კონკურსის მასალები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდია https://fis.ge/, ასევე საკომუნიკაციოდ იყენებს ოფიციალურ მეილებს: info@fis.ge, admission@fis.ge, და ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/fisgeorgia, რომლებსაც იყენებს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის classdojo.com-ის პლატფორმა.

სკოლის სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ.

შესაბამისად, დგინდება, რომ დაწესებულება კომუნიკაციისა და ინფორმირებისთვის იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის საკომუნიკაციო არხების გადამოწმებით დგინდება, რომ მათზე განთავსებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ***ისინი სკოლის დირექციისგან არ ფლობდნენ ინფორმაციას სკოლის გაზაში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის შესახებ (ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ჯამში ირიცხებოა 35 მოსწავლე).*** *როგორც დადგინდა, მასწავლებლებს აქვთ მოლოდინი, რომ მათ კლასებში ირიცხებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც დაფიქსირებულები არიან classdojo-ეს ელექტრონულ პლატფორმაში და ესწრებიან სასწავლო პროცესს* ***(ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ელექტრონულ ჟურნალში ჯამში ირიცხებოდა 10 მოსწავლე).*** *აღნიშნულით ხელი ეშლება კლასის დამრიგებლების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას კანონმდებლობის შესაბამისად, როგორიცაა მშობლებთან კომუნიკაცია, მოსწავლეთა გაცდენების შედეგებისს შესახებ მშობლის ინფორმირება და ა.შ.*

აკადემიური მიმართულებით დირექტორის მოადგილემ გასაუბრებისას განაცხადა, რომ **არ ფლობს ინფორმაციას თუ ვინ უზრუნველყოფს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგს,** მაშინ როდესაც სკოლამ წარმოდგინა 2024 წლის 09 სექტემბერს გამოცემული ბრძანება, რომლითაც ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე 2024-2025 სასწავლო წელს განსაზღვრა სწორედ დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით. **გამოვლენილი გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლის დირექციას არ აქვს სათანადო კომუნიკაცია სკოლაში დასაქმებულ პირებთან მიმდინარე სასკოლო პროცესებზე.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში ირიცხება 32 მოსწავლე, საიდანაც ფაქტობრივად მომსახურების ხელშეკრულებით სარგებლობს 9 მოსწავლე. სკოლამ განმარტა, რომ დანარჩენი მოსწავლეები გადასულები არიან სხვა სკოლებში ან გაემგზავრნენ საზღვარგარეთ, რაზეც სკოლას აქვს სრული ინფორმაცია, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მათი კანონიერი წარმომადგენლები არ მომართავენ სკოლას წერილობითი განცხადებით, სკოლა ვერ დგამს ქმედით ნაბიჯებს, გარდა ერთისა, რომ ყველა მშობელი ინდივიდუალურად როგორც სატელეფონო წესით, ასევე, ელ. ფოსტის საშუალებით ინფორმირებულია სტატუსის შეჩერების თაობაზე. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 16.09.2024-31.12.2024 პერიოდი, თუმცა არ არის წარმოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობები. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სასწავლო პროცესის დაწყებიდან გასული იყო 2 კვირა და სკოლის მასწავლებლებს და კლასის დამრიგებლებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია კლასში არსებული მოსწავლეების შესახებ. ვინაიდან, აღნიშნული ხარვეზი წარმოადგენს უკვე დამდგარ ფაქტს, შესაბამისად, ექსერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია. ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის აქვს ოფიციალური აქტიური ვებ-გვერდი https://fis.ge/, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, თუმცა მასზე განთავსებული დოკუმენტაცია და სრული ინფორმაცია არ არის განთავსებული ინგლისურ ენაზე, კერძოდ იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. აღსანიშნავია, რომ სკოლის კონტიგენტის ნაწილს წარმოადგენს არაქართულენოვანი მოსწავლეები და მათი მშობლები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მიმდინარეობს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება. *შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 29.10.2024-31.12.2024*

პერიოდი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებისას დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, ინფორმაცია ფინური კურიკულუმის განხორციელების შესახებ, საერთაშორისო პარტნიორობის შესახებ, საფეხურის შესახებ, რომელზეც სწავლებას ახორციელებს, სასკოლო და ფრესქულის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია, განხორციელებული აქტივობებისა და აქტუალური თემების შესახებ ინფორმაცია.

თუმცა, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი, კერძოდ, არ არის განთავსებული:

- *<u>ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში</u>*
- *<u>2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.</u>*

<u>ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებულია მოძველებული ინფორმაცია, კერძოდ, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვებ-გვერდზე უკვე ატვირთულია ანგარიში და შედეგები, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა. ვებ-გვერდის გადამოწმებით კი დგინდება, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ არის ატვირთული/განახლებული. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი https://fis.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ბიუჯეტი (Excell-ის ფაილით), რომელიც ასახავს სკოლის შემოსავლებსა და აუცილებელ ხარჯებს. ბიუჯეტის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაფინანსების ძირითადი წყაროა გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით, რომლებიც გასულ სასწავლო წელსაც მუშაობდნენ სკოლაში, დადგინდა, რომ მათ მიმართ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ფინანსური დავალიანება, ხოლო თანამშრომელთა ნაწილს ამ ეტაპზე არ მიუღია შრომის ანაღაურება, ვინაიდან ვიზიტის თარიღისთვის, მათთვის შრომის ანაზღაურების გადახდის თარიღი ჯერ არ იყოს დამდგარი.

სკოლის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ სკოლას კვლავ აქვს დავალიანება ყოფილი 2 თანამშრომლის მიმართ. აღნიშნული დავალიანების არ დაფარვის მიზეზად კი დაასახელა ის, რომ ფინანსური დავალიანება მოიცავს სოლიდურ თანხას, რისი დაფარვაც მოითხოვს დროს. სკოლას არ წარმოუდგენია რაიმე სახის შეთანხმება აღნიშნულ პირებთან თანხის გრძელვადიანი გრაფიკით გადახდაზე.

სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს განვითარებული უსიამოვნო მოვლენების შედეგად, მოძიებულმა ინვესტორმა აღარ განახორციელა მომდევნო ეტაპის დაფინანსების სკოლისთვის ჩარიცხვა, რამაც სკოლა მნიშვნელოვნად დააზარალა. მისი მხრიდან ამჟამადაც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სკოლის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. იგი ცდილობს მოლაპარაკებებს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებთან, რათა მოიძებნოს დამატებითი ფინანსური რესურსები, რაც გაამყარებს სკოლის საქმიანობას და შეამცირებს გადაუხდელობისგან გამოწვეულ რისკებს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სკოლის ხარჯების დაფარვას, თუმცა ყოფილი 2 თანამშრომლის დავალიანების დაფარვა გაჭიანურდა. სკოლა აღნიშნავს, რომ აღნიშნული გამოწვეულია როგორც მოსწავლეთა გადინებით, ვინაიდან სკოლაში 70 მოსწავლიდან მხოლოდ 9 მოსწავლე სწავლობს, ასევე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით, რაც აფერხებს ინვესტიციების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა 01.10.2024-30.03.2025 პერიოდი, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობა თუ როგორ გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

სკოლის არსებული დავალიანება მიუთითებს სკოლის ფინანსურს კრიზისზე და შესაბამისად იმაზე, რომ სკოლა ფინანსურად არამდგრადია სამოქმედო გეგმის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

<u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

დაწესებულებამ განმარტა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს ახალ ბიუჯეტს და წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ბიუჯეტი. ასევე, წარმოადგინა 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

სკოლას ეთხოვა წარმოედგინა ბიუჯეტის დამტკიცების ბრძანება, თუმცა წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრისნ ბრძანება NFIS/1/51 სახელწოდებით ,,სს ფინური საერთაშორისო სკოლის წლიური ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ'' და არა 2024-2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ. ბრძანებას არ ერთვის დანართი, შესაბამისად, **ვერ დასტურდება აღნიშნული ბრძანებით სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ან/და ბიუჯეტის შედგენის შიდა წესის დამტკიცება.**

როგორც წარმოდგენილი ბიუჯეტის ფორმით დადგინდა, ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა ძირითადად დამოკიდებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადახდილი საგანმანათლებლო მომსახურების საფასურზე.

ბიუჯეტის და სკოლის მოსწავლეთა ბაზის შესწავლით, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ **ბიუჯეტში ასახული შემოსავლები არ ასახავს რეალურად მოსალოდნელ შემოსავლებს, ვინაიდან საგანმანათლებლო მომსახურების და სატრანსორტო მომსახურების გაწევის შედეგად მისაღები შემოსავლები არ არის შესაბამისობაში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რომლებიც ფაქტობრივად სარგებლობენ დაგანმანათლებლო მომსახურებით. აღსანიშნავია, რომ ბაზაში არსებული აქტიური მოსწავლეების რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს იყო 35, თუმცა მომსახურებით 2024-2025 სასწავლო წელს სარგებლობდა აღნიშნული რაოდენობის 1/3-ზე ნაკლები (10 მოსწავლე), რაც უარყოფითად ისახება სკოლის შემოსავლებზე.**

გარდა ამისა, ბუნდოვანი იყო 2024-2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არის თუ არა სკოლის ყოფილი თანამშრომლების მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა და მისი ხარჯებში გათვალისწინება.

*გარდა ამისა, ბიუჯეტი არ არის გაწერილი თვეების მიხედვით, შესაბამისად შეუძლებელია თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯის წინასწარ პროგნოზირება. <u>**სკოლას მიეცა რჩევა**</u> წლიურ ბიუჯეტში ასახოს ყოველთვიურად მისაღები შემოსავალი და მოსალოდნელი ხარჯი, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას და საშუალებას მისცემს შეაფასოს მოსალოდნელი საფრთხეები და რისკები.*

ფინანსურ საკითხზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების შეუსრულებლობა ცხადყოფს, რომ დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის ეფექტური სისტემა, რაც იწვევს ფინანსურად არამდგრად მდგომარეობას უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ სკოლის მიერ ბიუჯეტის წინასწარ ფორმალურად დაგეგმვა ვერ უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების მიზნობრივად განკარგვის პროცესს, რაზეც მეტყველებს სკოლის დაუფარავი დავალიანება. **სკოლას არა ქვს ფინანსური დაგეგმვის, ანალიზისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები, რაც სუზრუნველყოფს მოსალოდნელი რისკების შეფასებას და დაწესებულების შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის საჭირო ზომების დროულად მიღებას.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიუჯეტი დაგეგმილი და რეალური იყო 2024 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით, ხოლო ყოფილი თანამშრომლების მიმართ დავალიანების დაფარვის ხარჯი მითითებულია სახელწოდების ქვეშ - utility expenses (კომუნალური ხარჯი). მიუხედავად

იმისა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა 01.10.2024-30.03.2025 პერიოდი, სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობა, თუ როგორ გეგმავს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. ასევე, თავად სკოლა აღნიშნავს, რომ ფაქტობრივად მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 9 მოსწავლესთან, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია კორექტირებული ბიუჯეტი და მისი დამტკიცების ბრძანება მოსწავლეთა ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით დაგეგმილ შემოსავალსა და ხარჯთან მიმართებით. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების 2024-2025 წლის ბიუჯეტი (Excell-ის ფაილით);
- ,,სს ფინური საერთაშორისო სკოლის წლიური ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ'' ბრძანება;
- 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას გააჩნია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, გასაჩივრების პროცედურები, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი და სხვა დოკუმენტაცია. თუმცა დადგინდა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი წესების აღსრულების პროცესი არ არის ეფექტური.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილ 2024 წლის სექტემბერში გამოცემული ბრძანებებში, როგორიცაა მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის დამტკიცება, მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის განსაზღვა, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, წლიური ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცება, აგრეთვე ივლისის თვეში გამოცხადებული კონკურსების მარეგულირებელი ბრძანებების საფუძვლად მითითებულია იყო სს ,,ფინური საერთაშორისო სკოლის'' მართვის შინაგანაწესის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი. სკოლის შინაგანაწესის 36-ე მუხლი არ შეიცავს მე-4 პუნქტს. გარდა ამისა, დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების ბრძანებაში

მითითებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლი, რაც არარელევანტურია (ესგ-ს მიხედვით 21-ე მუხლის სათაურია: სარეკომენდაციო საათობრივი ბადე ქართულენოვანი და არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის). *სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და განმარტა, რომ განახორციელა ტექნიკური ხარვეზების გასწორება აღნიშნულ გრძანებებში. არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვოდა ტექნიკური ხარვეზის გასწორების გრძანება.* ***ექსპერთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია.***

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ სტრუქტურას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, ექპერტთა მიერ მიერ მოსწავლეთა ბაზის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის მოსწავლეთა ბაზაში ოფიციალურად ირიცხებოდა 35 მოსწავლე, თუმცა, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და სასწავლო პროცესის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ რეალურად სასწავლო პროცესს რეგულარულად ესწრებოდა მხოლოდ 10 მოსწავლე. ექსპერთა ჯგუფის ვიზიტის დღეს საგაკვეთილო პროცესს ესწრებოდა 9 მოსწავლე. *სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ ვერ ამყარებენ კომუნიკაციას იმ მოსწავლეების მშობლებთან, რომლებიც არ ცხადდებიან საგაკვეთილო პროცესზე, თუმცა სკოლას აქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნული მოსწავლეები სახლში იღებენ განათლებას.*

გამოვლენილმა ფაქტმა აჩვენა, რომ ირღვევა იმ მოსწავლეების უფლებები, რომლებიც არ ესწრებიან სასწავლო პროცესს, თუმცა აღნიშნულზე რეაგირებას სკოლა დამოუკიდებლად ვერ ახდენს. სკოლის ადმინისტრაციას ეთხოვა წარმოდგინა რაიმე სახის დადასტურება იმისა, რომ მოწავლეთა გაცდენებთან დაკავშირებით მიიღო ზომები ან აცნობა მშობელს სკოლის გაცდენით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ასეთი დადასტურება.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით საბაზო განათლება სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, ირღვეოდა იმ 25 მოსწავლის განათლების უფლება, რომლებიც ჩართულები უნდა ყოფილიყვნენ საგანმანათლებლო პროცესში და უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა ინტერესები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლა არის დაწყებითი საფეხურის და სასკოლო კურიკულუმი მოიცავს ესგ-თი გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, დანარჩენი საკითხების შეთანხმება მიმდინარეობს ფინურ მხარესთან, რომელიც აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფს, წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე არ ჰქონდა საშუალება შეეფასება ფინური კურიკულუმი, შეფასდა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც სკოლის ფილოსოფიასა და კურიკულუმებთან ერთად უნდა მოიცავდეს სკოლის განვითარების ხელშემწყობ პროცესებსაც. შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 10.10.2024-31.12.2024 პერიოდი. თუმცა სკოლამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლა ამყარებს კომუნიკაციას და სასწავლო წლის დასაწყისისთვის ფლობდა ინფორმაციას მოსწავლეთა სწავლის გაგრძელების თაობაზე, თუმცა წარმოდგენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ მშობლებისთვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინებები, რაც არ ცვლის დამდგარ ფაქტს იმის შესახებ, რომ მშობლებთან ვერ ახორციელებდა სათანადო კომუნიკაციას და არ ხორციელდებოდა შესაბამისი ქმედებები მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სასკოლო რეგულაციები, რომლებიც გაწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, გაზიარებულია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად სასკოლო საზოგადოებასთან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ **სკოლის შიდა რეგულაციები არ არის საკმარისად გამჭვირვალე. მასწავლებლებთან/დამრიგებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში თავიანთ ვალდებულებებზე და შესაბამისად, ვერ ასრულებენ მას.**

გარდა ამისა, როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მოძველებულია და არ შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს, იწვევს გაურკვევლობას. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების გამჭვირვალობა სასკოლო გარემოს სტაბილურობისა და ნდობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად უნდა ხდებოდეს სასკოლო რეგულაციების გადახედვა, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან კომუნიკაციის გაძლიერება და მათი ინფორმირებულობა კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მექანიზმების შესახებ, რაც მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიაა.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის თანამშრომლებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია იმ მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც მოსწავლის უფლებების დაცვასა და რეალიზაციას ემსახურება.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლა დგამს ქმედით ნაბიჯებს მოსწავლეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში. სკოლამ არგულენტირბულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწერილი წერილი იმ მოსწავლეებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ესწრებიან სასწავლო პროცესს.

შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია 16.09.2024-31.12.2024 პერიოდი. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მიერ წერილობითი კომუნიკაცია განხორციელებულია ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, ექპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ დგამს ქმედით ნაბიჯებს. არსებული ხარვეზი წარმოადგენს უკვე წარსულში დამდგარ ფაქტს. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

დადგინდა, რომ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არ არის გამჭვირვალე და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ექსპერთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომდგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. **ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2023-2024 სასწავლო წლით, შესაბამისად, გასულიყო იყო მოქმედები ვადები.** მათ შორის, იყო იმ მოსწავლეთა ხელშეკრულებებიც, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წელს აღარ ირიცხებიან სკოლაში.

სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს. ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული ყველა ის უფლება და მოვალეობა, რომლებიც კანონით არის გარანტირებული, როგორც სკოლის, ისე მოსწავლეებისა მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ, 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებების მე-3 მუხლის 3.9 ან 3.10 პუნქტებში განსაზღვრულია, რომ მოსწავლის სკოლიდან გადასვლის შემთხვევაში, მშობელს წინასწარ გადახდილი თანხა არ უბრუნდება, რაც წინააღმდეგობაში მოდის ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 33[2] მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნასთან, რომელიც ადგენს, რომ კერძო სკოლა ვალდებულია, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში). იგივე კანონსაწინააღმდეგო პირობა იყო გათვალისწინებული განცხადების ავტორი მშობლის ხელშეკრულებაშიც, რომელმაც უფლებების დასაცავად მომართა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

სკოლის წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მათ აქვთ ხელშეკრულების ახალი ფორმები, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული ხელშეკრულებები არ იქნა მოწოდებული. **შესაბამისად, დადგინდა, რომ სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან 2024-2025 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებები, ხოლო 2023-2024 სასწავლო წელს მოქმედი ხელშეკრულებები არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია იმ მშობლებთან, რომელთა შვილებიც ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს. სხვა დანარჩენი, მოსწავლეები კი სწავლას აგრძელებს სხვა სკოლებში ან ჰოუმსქულებში ან არიან საზღვარგარეთ, რის გამოც ისინი არც ცხადდებიან და არც აპირებენ ხელშეკრულების გაფორმებას. სკოლამ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მოკლებულია ყველანაირ შესაძლებლობას, არ აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამე ბერკეტი იძულებით დაადებინოს ხელშეკრულება ან ამორიცხოს ბაზიდან. გარდა ამისა, 2023-2024 სასწავლო წლის ხელშეკრულებების თაობაზე მსჯელობა იყო წინა მონიტორინგის დროსაც, რაც გაითვალისწინა სკოლამ 2024-2025 სასწავლო წელს და მიაჩნია, რომ წინა სასწავლო წლის ხელშეკრულებები არ არის ამჯერად შეფასების საკითხი, როდესაც უკვე ახალი ხელშეკრულებები არსებობს.

სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია, თუმცა არ წარმოუდგენია 2024-2025 სასწავლო წელს იმ მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ფაქტობრივად იღებენ საგანმანათლებლო მომსახურებას. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა წვდომა 2024-2025 სასწავლო წლის ხელშეკრულებებზე. სკოლის მიერ მოწოდებულ იქნა მხოლოდ 2023-2024 სასწავლო წლის ხელშეკრულებები და შესაბამისად, ექსპერტები ვერ იმსჯელებდნენ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც არ უნახავთ და არ მისცემიათ შესაძლებლობა შეესწავლათ აღნიშნული ხელშეკრულებების პირობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის

არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებები;
- სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა წესი, რომელიც შესაბამისობაშია განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან. წესი არეგულირებს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვას დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა კლასში, მოსწავლის ამრიცხვის, კლასისა და საფეხურის დაძლევის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წესში არის გაწერილი მოსწავლის გაცდენების შემთხვევაში სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები, ასევე ფინანსური დავალიანების გამო მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტის და გადახდილი თანხის დაბრუნების პირობები და ვადები, რომლებიც რეგულაციების დონეზე შესაბამისობაშია საკანონმდებლო რეგულაციებთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების აღსრულების პროცესი. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მოსწავლეთა ბაზა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სკოლის ელექტრონული ჟურნალი (classdogo.com) და მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ბრძანებები. შედეგად დადგინდა, რომ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლაში ირიცხებოდა 35 მოსწავლე, თუმცა მათგან საგაკვეთილო პროცესს სასწავლო წლის დაწყებიდან ესწრებოდა მხოლოდ 10 მოსწავლე. ვიზიტის დღეს სასწავლო პროცესს ესწრებოდა 9 მოსწავლე. კლასების დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ზომები უნდა მიიღონ მოსწავლის მიერ საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაბამისად, *სკოლას არ აქვს განხორციელებული ის პრევენციული ზომები, რაც გათვალისწინებულია სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა წესის მე-5 მუხლით და მოქმედი კანონმდებლობით. გარდა ამისა, სკოლიდან მოსწავლის გადასვლის შემდეგ, სკოლას არ დაუბრუნებია მშობლისთვის წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს პრევენციულ ზომებს, კერძოდ, ჰქონდა საკომუნიკაციო კონტაქტი მშობლებთან ტელეფონით, ელ. ფოსტით,

ასევე მიმართული აქვს სოც. სამსახურისთვის, ასევე აღნიშნა, რომ ერთი ფაქტობრივი გარემოება მიჩნეულია რამდენიმე ინდიკატორის დარღვევად, რის გამოც არ ეთანხმება აღნიშნულს. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია ერთი და იგივე ფაქტით სხვადასხვა ინდიკატორის დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან, ფაქტის თავისებურებიდან გამომდინარე, დარღვევა მიემართება სხვადასხვა ინდიკატორს, ზოგ შემთხვევაში დარღვეული იყო სკოლის მხრიდან მასწავლებლების/დამრიგებლები ინფორმირების მექანიზმი, ხოლო ზოგ შემთხვევაში სკოლის მხრიდან მოსწავლის გაცდენების შემთხვევაში - მშობლის ინფორმირების წესი. სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულება ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე მშობლების ინფორმირების თაობაზე. ასევე, დამდგარ ფაქტს წარმოადგენს ისიც, რომ სკოლიდან მოსწავლის გადასვლის შემდეგ, სკოლას არ დაუბრუნებია მშობლისთვის წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური, ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ ვადაში, რომლის გამოსწორების ვადად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია 16.09.2024-30.03.2025 პერიოდი. ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არ შეცვლილა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა წესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - დღის წესრიგი

თარიღი: 19.11.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: